შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com

_____ № _____
თქვ. № _____

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე ორსართულიანი შენობის (ნაკვეთი ს/კ 01.74.14.013/550) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, მასზე მიშენების და ერთი სართულის დაშენების მიზნით.

ქ. თბილისი

2016 წელი

ვამტკიცებ შ.პ.ს. ,,შენობა-ნაგებობათა
კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი''-ს
დირექტორი ,,————————'' რ.ცხვედაძე
,,————'' ,,————————————'' 2016წ

დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე ორსართულიანი შენობის (ნაკვეთი ს/კ 01.74.14.013/550) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, მასზე მიშენების და ერთი სართულის დაშენების მიზნით.

შემსრულებელი:

პროფესორი დ. ჯანყარაშვილი

ქ. თბილისი

2016 წელი

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2016 წლის 25 ნოემბერს შპს „გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი’’-ს პრორექტორსა და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი’’-ს დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული № ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე ორსართულიანი შენობის (ნაკვეთი ს/კ 01.74.14.013/550) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, მასზე მიშენების და ერთი სართულის დაშენების მიზნით.

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“ №1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი ს/კ 01.74.14.013/550) „გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი’’-ს მიმდებარე ტერიტორიაზე.

შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით მოხდა მისი ვიზუალური დათვალიერება. ის ორსართულიანია (სარდაფით), გეგმაში მართკუთხედის ფორმის, ზომებით ღერძებში 48.0X15.0 მ. შენობა მდებარეობს სწორ რელიეფზე. შენობის საძირკვლები ლენტური ტიპისაა რკინაბეტონის, სიგანით 0.7 მ. ჩაღრმავება 1.0-1.2 მ სარდაფიდან. მზიდი კედლების სისქე 0.51 მ. კედელები ამოყვანილია სილიკატური აგურით. პირველი სართულის გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის ფილებისგან სიგრძით 6.0 და 3.0 მ. ტიხრების კედლები შესრულებულია აგურისგან. შენობას სართულზე და სასხვენო გადახურვაზე მოწყობილი აქვს ანტისეისმური სარტყლები. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება რკინაბეტონის კიბეებით, გადახურვა აქვს ორქანობიანი რკინაბეტონის.

შენობა დაფუძნებულია კენჭნაროვან გრუნტზე, რომლის მახასიათებლებია: შეჭიდულების ძალა C=0.03 კპა; ხახუნის კუთხე $\varphi=40^0$; დეფორმაციის მოდული E=50 მპა (500 კგძ/სმ^2); საანგარიშო წინაღობა R_0=500 კპა (5.0 კგძ/სმ^2). გრუნტის წყლები შეინიშნება. საძირკვლები კარგ მდგომარეობაშია.

შენობის ვიზუალური გამოკვლევით დადგინდა, რომ შენობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი. მას გააჩნია ბევრი დაზიანებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ შენობის მდგრადობაზე. კედლები დამზადებული სილიკატური აგურისგან არის ჩამორეცხილი შენობის ფასადის უკანა ნაწილის კიდეში, ბზარებია ფანჯრებზე, ჭერი და იატაკი დაზიანებულია ნალექისგან შენობის კიდეში. (ფოტო მასალა იხილე დანართში). შენობას სასწრაფოდ სჭირდება რეაბილიტაცია.

ფართის მფლობელს (დამკვეთს) სურვილი აქვს შენობის დაზიანებული ნაწილები აღადგინოს, მიაშენოს გრძივი მიმატთულებით ორივე მხრიდან სამსართლიანი შენობა

და შუა ნაწილში დააშენოს ერთი სართლი პრტყელი გადახრვით ,სადაც მოეწყობა ღია აივანი.

ზემოთაღნიშნულის შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია. ის უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შენობის ორქანობიანი გადახურვის შეცვლა პრტყელი გადახურვით, შენობის გაძლიერება 8 ბალიან სეისმურ ზონამდე, ასევე ვინაიდან შენობის სიგრძე 48 მეტრია ,ნორმების მიხედვით უნდა მოეწყოს სიხისტის დიაფრაგმა(ანტისეისმური ნაკერი).,აგრეთვე საძირკვლებზე დამატებითი დატვირთვების გავლენა გამოწველი ერთი სართულის და ღია აივნის დამატებისგან. საჭიროა აგრეთვე საძირკვლების, კედლების და ღიობების გაძლიერება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიშენების საძირკვლების ჩაღრმავება არსებული შენობა-ნაგებობების საძირკვლების ჩაღრმავების ტოლი იყოს (მოწყობილი იყოს ერთი და იგივე დონეზე).

ფოტო მასალა იხილე დანართში.

5. დასკვნა - რეკომენდაციები

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი ს/კ 01.74.14.013/550) „გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი’’-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. მდებარე შენობის გამოკვლევით დადგინდა:

1. შენობის ვიზუალური გამოკვლევით დადგინდა, რომ შენობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი. მას გააჩნია ბევრი დაზიანებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ შენობის მდგრადობაზე. კედლები დამზადებული სილიკატური აგურისგან არის ჩამორეცხილი შენობის ფასადის უკანა ნაწილის კიდეში, ბზარებია ფანჯრებზე, ჭერი და იატაკი დაზიანებულია ნალექისგან შენობის კიდეში. (ფოტო მასალა იხილე დანართში). შენობას სასწრაფოდ სჭირდება რეაბილიტაცია;
2. ფართის მფლობელს (დამკვეთს) სურვილი აქვს შენობის დაზიანებული ნაწილები აღადგინოს, მიაშენოს გრძივი მიმატთულებით ორივე მხრიდან სამსართლიანი შენობა და შუა ნაწილში დააშენოს ერთი სართლი პრტყელი გადახრვით, სადაც მოეწყობა ღია აივანი (იხილე დანართში მაკეტი);
3. ზემოთაღნიშნულის შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია. ის უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული

პროექტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შენობის ორქანობიანი გადახურვის შეცვლა პრტყელი გადახურვით, შენობის გაძლიერება 8 ბალიან სეისმურ ზონამდე, მოეწყოს სიხისტის დიაფრაგმა, აგრეთვე საძირკვლებზე დამატებითი დატვირთვების გავლენა გამოწველი ერთი სართულის და ღია აივნის დამატებისგან. საჭიროა აგრეთვე საძირკვლების, კედლების და ღიობების გაძლიერება;

4. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიშენების საძირკვლების ჩაღრმავება არსებული შენობის საძირკვლების ჩაღრმავების ტოლი იყოს (მოწყობილი იყოს ერთი და იგივე დონეზე);
5. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

დ ა ნ ა რ თ ი




































CV



პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი:	**ჯანყარაშვილი დავითი**
დაბადების თარიღი:	1946 წლის 3 თებერვალი
დაბადების ადგილი:	ქ. თბილისი
მისამართი :	ქ. თბილისი, ნუზუბიზის 4 მ/რ, კ.11, ბ.58.
ტელეფონი:	231-63-65, 599-33-20-64
ელ.ფოსტა:	d.jankarashvili@gtu.ge

პროფესიული მოღვაწეობა

სამეც. / აკად. ხარისხი:	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების მისამართი:	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
თანამდებობა :	პროფესორი

განათლება

ჩარიცხვის და დამთავრების წლები	1964-1969წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. წარჩინებით. 1969-1973წწ. საპროექტო“ კავგიპროტრანსი“-ს უფროსი ინჟინერი. 1973-1976 წწ. ასპირანტურა, ქ.თბილისის კ. ზავრიევის სახელობის ”სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ზღვრული წინასწორობის განყოფილების ასპირანტი.” ამავე წლებში დისერტაციაზე ვმუშაობდი ქ. ვილნიუსის სამშენებლო ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრაზე. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, ვილნიუსის სამშენებლო საინინრო ინსტიტუტი 1979 წ. 14 მაისი დისერტაცია „ჰიპარის ფორმის წინასწარდაძაბული ვანტური სისტემის ზღვრული მდგომარეობა გეომეტრიული არაწრფიობის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელი პროფესორი ა. ჩიჟასი და პროფესორი ნ. ახვლედიანი. 1976-1979წწ. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის, უწყვეტ თანთა მექანიკის განყოფილების ინჯინერი. 1979-1981წწ. კ. ზავრიევის სახ. „სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის“ ინსტიტუტის ზღვრული წინასწორობის განყოფილების მეცნიერი. 1981 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური

	უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი.

სამუშაო გამოცდილება

2006 წლიდან-დღემდე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების პროფესორი.
1998 -2006	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
1976-1979	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი
1969-1973	საპროექტო ინსტიტუტ "კავგიპროტრანსის" სსმ განყოფილების უფროსი ინჟინერი.

მეცნიერული მიღწევები

მონოგრაფია	
სახელმძღვანელო	5
სტატიები	10
კონფერენციები	2
გამოგონებები	-
გრანტები	-

მეცნიერული მოღვაწეობის დაწვრილებით გაცნობა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: http://gtu.ge/mecniereba2011

ენების ცოდნა

რუსული	თავისუფლად
გერმანული	თავისუფლად
ინგლისური	ლექსიკონის გამოყენებით

პედაგოგიური საქმიანობა

პროფესიული სწავლება	ტექნიკური მექანიკა
ბაკალავრიატი	სამშენებლო მექანიკა
ბაკალავრიატი	სეისმომედეგობა
ბაკალავრიატი	თხელკედლიანი სივრცითი სისტემები
მაგისტრატურა	სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი

ინტერესის სფერო

ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.

დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.

ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.

სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.

შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

მრავალკვანძიანი წინასწარდაძაბული ვანტური სისტემების ზიდვის უნარის გამოკვლევა გეომეტრიული არაწრფიობის გათვალისწინებით.

დამასხურებები, ჯილდოები, სერტიფიკატები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ჯილდო დ.გ. ჯანყარაშვილს-საქ. ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაქულტეტის პროფბიუროს თავჯდომარეს საქართველოს პროფკავშირების XVII ყრილობის დელეგატს, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.
კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სამინისტროს ჯილდო 1983-86 წწ-ში ქ. პნომპენის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

ჰობი

სპორტი, მუსიკა, ლიტერატურა.

ცნობა

პროფესორ დათო ჯანყარაშვილის საექსპერტო საქმიანობის თაობაზე, სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასა და ექსპერტიზაში

№	სამუშაოს დასახელება	წელი	დამკვეთი
1	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ორდი“
2	ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
3	ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის №2ა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება.	2009	მოქალაქე ვასილ სოხაძე
4	ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. №12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ფილიმასკა.ჯი“
5	ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;	2009	–
6	ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №33ბ-ში მდებარე რვასართულიან ორ სადარბაზოიანი შენობაზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ვიზუალური დათვალიერებით	2009	ბმა ამხანაგობა
7	ქ. თბილისში შეშელიძის ქ. №41-ში მდებარე ნაკვეთის და ნაკვეთში აშენებული შენობის ტექნიკური ექსპერტიზა;	2009	მოქალაქე ზაურ ბიწაძე
8	ქ. რუსთავში XIV მკ/რ-ში მდებარე შპს „იკორთა-2007“-ის კუთვნილი 54 ბინიან 9 სართულიან მსხვილ ბლოკოვან სახლზე სართულის დაშენების პროექტის ექსპერტიზა;	2009	შპს „იკორთა 2007“
9	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	–
10	ქ. თბილისში პეკინის ქ. №23, II სართ. ბ.2-ის მიშენების ტექნიკურ მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე ვ. შარაბიძე
11	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №2-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	მოქალაქე თ. მაჭავარიანი
12	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №6-ზე მიშენებული აივნის	2009	მოქალაქე გ. მაისურაძე

	კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;		
13	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მდებარე შენობის გამოკვლევა, ექსპერტიზა	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
14	მოსკოვის გამზირზე №1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;	2010	–
15	ქაიროს ქუჩა №13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა;	2010	–
16	ქ. თილისში, საბურთალოს ქ. №43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	
17	შპს „რემონტალი“-ს კუთვნილის შენობის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	შპს „რემონტალი“
18	შპს „ინფინიტი“-ს კუთვნილის ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი №26/3ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;	2010	შპს „ინფინიტი“
19	ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილზე შპს „ელსავაკო“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის ნაგებობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის შემოწმება;	2010	შპს „ელსავაკო“
20	ქ. მარნეულში, გიორგაძის ქ. №3ა-ში მდებარე, მოქალაქე ლელა ხარშილაძის სარგებლობაში არსებულ ბინა №9-ზე განხორციელებული მიშენების მდგრადობის შემოწმება;	2010	მოქალაქე ლელა ხარშილაძე
21	ქ. მარნეული, გამსახურდიას ქ. №3-ში მდებარე ერთსართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით;	2010	
22	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
23	ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა: – ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა; – ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა; – ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;	2011	–

24	ბილაინის ანძების ტექნიკური ზედამხედველობა;	2012	შპს „გ და თ სერვისი“
25	ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე სს „თიბისი ბანკი“-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამოკვლევა;	2012	სს „თიბისი ბანკი“
26	ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2012	შპს „ბეგი/ჯორჯია“
27	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ქ. რუსთავი, გაგარინის 12, ფასონური სხმულების საამქრო; ბლუმსებისა და სლიაბების საწყობის მიშენება 48 გრძ.მ-ზე 15 ტ. რკალური ღუმელის განთავსებისათვის) 15700 მ2 საწარმოო ფართის კარკასისა და კონსტრუქციული ელემენტების სრული ინსტრუმენტული გამოკვლევა;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“
28	შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი საწარმოო შენობის გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი
29	ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცის განსაზღვრა და საპროექტოსთან შესაბამისობის დადგენა;	2012	შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“
30	ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის ავტოფარეხის ოთხი სართულის ტორსებზე ღიობების გამოღების და პანდუსის მოხსნის მიზნით გაძლიერების პროექტის მომზადება;	2012	შპს „ინ-სი“
31	ქ. თბილისში, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის, რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შენობის მზიდი კონსტრუქციების და საძირკვლის გამოკვლევა;	2012	შპს „მარინა ბიჩ ქლაბ ბათუმი“
32	ქ. რუსთავში მდებარე შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი ერთმალიანი საამქროს სახურავის წიბოვანი ფილების გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი“
33	ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
34	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
35	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ორი რკინაბეტონის ხიდის: წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიის მარის არხის ხიდი; დამკვეთის ცენტრალური ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხიდის) გამოკვლევა;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

36	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფოლადსადნობი საამქროს კარკასის ინსტრუმენტალური გამოკვლევა 45-87 ღერძებში, ი-კ-ლ მალები, საერთო ფართობით 15120 მ²;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“
37	ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48-ში კორპუსი №10-ის მიმდებარედ ერთსართულიანი ნაგებობის შიდა წყლის მილების ხანდაზმულობის დადგენა;	2012	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
38	დუშეთის რაიონში, სოფელ სეთურებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №71.35.47.024) მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი პროექტთან შესაბამისობისა და მდგრადობის დადგენის მიზნით;	2013	შპს „Green Wall Development“
39	- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფართების სრული ინსტრუმენტალური გამოკვლევა;	2013	შპს „რუსთავის ფოლადი“
40	- ხონში არსებული ტერიტორიის შემოღობვის შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა;	2013	შპს „LAV-TRAVEL“
41	ბმ ამხანაგობა „აისი“-ს კუთვნილი ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის 151-ის კორპუსის სადარბაზოს რემონტის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2014	შპს „ჯეოგარანტი“
42	ქარელის მუნიციპალიტეტში (სოფლები ავლევი, ბრეძა, თამარაშენი, კოდა, რუისი) ამბულატორიების საძირკვლის მოწყობის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2015	შპს „სმ ბილდინგ კომპანი“
43	ქ. თბილისი, ლიხაურის შესახვევი №9-ში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2015	ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მეცნიერება-2005“
44	ქ. თბილისი, გლდანი (ნაკვეთი 074, კვარტალი 12, სექტორი 13, ზონა 72), მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა პროექტთან შესაბამისობის დადგენის, მისი პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯების დადგენისა და დარჩენილი სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით;	2015	მოქალაქე მარინა ნიქაბაძე
45	ბმ ამხანაგობა „ელექტროტრანსპორტი“-ს ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, კორპუსი №33 I, II, III, IV სადარბაზოების შესრულებული შიდა სარემონტო სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2015	იმ „ვახტანგ ხინიკაძე“
46	ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქუჩა №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.10.14027.010) არსებული 2-სართულიანი მანსარდითა და სარდაფის სართულით, ნაგებობის დემონტაჟის გავლენის დადგენა მომიჯნავედ არსებულ ნაკვეთებზე (საკ.კოდი 01.10.14.027.035; 01.10.14.027.050; 01.10.14.027.049; 01.10.14.027.040 და 01.10.14.028.141) განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე	2016	შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“
47	ქ. თბილისი, ტყავის ჩიხი №13-ში მდებარე ებრაელთა სალოცავის ეზოში, მარნის მოწყობის	2016	კავშირი „ევროპელ ებრაელთა რელიგიური

	შესაძლებლობის დადგენა		საზოგადოება“
48	შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ს კუთვნილი საამქროს გადახურვის წიბოვანი ფილების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და მის 1 მ²-ზე 6-ტონიანი აგრეგატის მონტაჟის შესაძლებლობის დასადგენად მზიდუნარიანობის განსაზღვრა	2017	შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“